

შეფასება

საქართველოს პირველად ჯანდაცვაში მომუშავე ოჯახის
ექიმის/ექთნის საქმიანობის შეფასება

ოჯახის ექიმის/ექთნის საქმიანობის შეფასება

შესავალი

მოცემული პაკეტი მოიცავს ოჯახის ექიმების/ექთნების შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტაციას.

არის ხუთი სახის ფორმა:

- 1 ძირითადი მონაცემები
- 2 მიმდინარე სამედიცინო საქმიანობა
- 3 შესაფასებელი მასალა

ფორმები უნდა შეავსოთ შეფასების დისკუსიის დაწყებამდე. პირველი ორი ფორმა არის მოკლე და მოიცავს ფაქტობრივ ინფორმაციას. ფორმა №3 მოითხოვს სიზუსტეს. თქვენ მოგეთხოვებათ საბუთების წარმოდგენა ფორმა №3-ის შესავსებად ერთი საქალაქო დონით.

ფორმა №3-ს წინ უძღვის განმარტებითი შენიშვნები.

თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილი მასალა დამუშავების გარეშე იქნება გამოყენებული შეფასებისათვის მომავალში.

თქვენი შემფასებელი დანარჩენ ორ ფორმას თქვენთან შეხვედრაზე მოიტანს. ფორმა №4 არის შეფასების ფორმალური შეჯამება და ის უნდა შეივსოს დისკუსიის მიმდინარეობისას და მისი დამთავრებისთანავე. მისი შევსება თქვენი შემფასებლის მოვალეობაა. ფორმა №5 შესაძლოა გამოყენებული იყოს შეფასების დისკუსიის უფრო დეტალური და კონფიდენციალური რეგისტრაციისათვის, თუმცა მისი შევსება ნებაყოფლობითია.

ოჯახის ექიმის/ექთნის ყოველწლიური შეფასება
ფორმა №1: ძირითადი მონაცემები

სახელი, გვარი

რეგისტრაციის ადგილი (საცხოვრებელი ადგილის მისამართი) და
ტელეფონის ნომერი

ძირითადი სამუშაო ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი

კვალიფიკაციები (მიღებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ)

სერთიფიცირების თარიღი

არსებულ (საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში) სამუშაოზე დანიშვნის
თარიღი

დღესდღეობით დაკავებული ძირითადი თანამდებობა საოჯახო მედიცინის
პრაქტიკაში

დღესდღეობით დაკავებული ძირითადი თანამდებობები ჩამოთვალეთ დღესდღეობით დაკავებული ნებისმიერი თანამდებობა (პრაქტიკაში და მის გარეთ); მიუთითეთ მისი (1) დაწყების თარიღი და (2) ამ თანამდებობაზე მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა

წარსულში დაკავებული თანამდებობები უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, თარიღების მითითებით

სხვა მნიშვნელოვანი პერსონალური ინფორმაცია მოკლედ მოიყვანეთ თქვენი საქმიანობის ამსახველი ნებისმიერი მონაცემები მაგ. პროფესიული საზოგადოების წევრობა

ოჯახის ექიმის/ექთნის ყოველწლიური შეფასება

ფორმა №2: მიმდინარე სამედიცინო საქმიანობა

მოცემული ფორმა მოითხოვს მოკლე ფაქტობრივ ინფორმაციას იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც ასრულებთ პრაქტიკაში და სხვა თანამდებობებზე. თქვენ გექნებათ დეტალური ინფორმაციის მოწოდების საშუალება შემდგომ.

საშუალოდ რამდენ საათს მუშაობთ კვირაში?

შეჯამებული სახით აღწერეთ პრაქტიკაში სამუშაო საათების განმავლობაში შესრულებული სამუშაო მაგ. პედიატრიული მომსახურება, კონსულტაციები და ა.შ.

გადაუღებელი მომსახურება, გამოძახებები და საქმიანობა არასამუშაო საათებში

სხვა სახის კლინიკური სამუშაოს მოკლე აღწერა მაგ. კლინიკური პრაქტიკა ჰოსპიტალში ან სხვაგან

სხვა სახის პროფესიული საქმიანობა (პედაგოგიური საქმიანობა და სხვ.)

ოჯახის ექიმის/ექთნის ყოველწლიური შეფასება

ფორმა №3: შესაფასებელი მასალა

მოცემულ ფორმასა და მასთან ერთად წარმოდგენილ საბუთებში მოყვანილია ძირითადი მონაცემები შეფასებისათვის.

ტექსტი თითოეული სათაურის ქვეშ განსხვავებულია, მაგრამ ჩვეულებრივ, თქვენ მოგეთხოვებათ, წარმოადგინოთ:

- კომენტარი თქვენი სამუშაოს შესახებ
- ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ გაუმჯობესდა თქვენი სამუშაო უკანასკნელი შეფასების ჩატარების შემდეგ
- თქვენი მოსაზრებები თქვენი უწყვეტი განვითარების საჭიროებების შესახებ
- შეჯამებული სახით მიუთითეთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს გიშლით დასახული მიზნის მიღწევაში.

არ არის საჭირო ძალზე დაწვრილებითი ინფორმაციის წარმოდგენა თქვენი საქმიანობის შესახებ. მიუთითეთ მნიშვნელოვან ფაქტებზე, საკითხებსა და პრობლემებზე; სრულად აღწერეთ თქვენი სამედიცინო საქმიანობა საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რგოლში და მის გარეთ. ფორმა წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც მოახდენს თქვენი და თქვენი საქმიანობის შემფასებლის კონცენტრირებას თქვენი საქმიანობისა და საჭიროებების ირგვლივ. ეს არის მეთოდი, და არა საგამოცდო ფორმა, და მისი შევსებისას საჭიროა გარკვეული მოქნილობა. **იაზროვნეთ რაციონალურად და მოიყანეთ ფაქტები, რომლებიც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია. ზოგ შემთხვევაში, ფორმა საშუალებას გაძლევთ შემოიფარგლოთ 1-2 სიტყვით; ნუ განაგრცობთ ინფორმაციას, თუ ამის საჭიროება არ არის.**

მოცემული ფორმის შევსებაზე გაწეული სამუშაო ძირითადი მოსამზადებელი პროცესია შეფასებისათვის და განსაზღვრავს მის გამოსავალს. ის, ასევე, მნიშვნელოვანია თქვენი საქმიანობის შემფასებლის მომზადებისათვის.

ფორმის შევსებისას გეძლევათ თავისუფლება, თუმცა მასში მოცემულია გარკვეული წინადადებები/მითითებები თქვენს დასახმარებლად. დაურთეთ დამატებითი ფურცლები, თუკი თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოცულობა ამას მოითხოვს.

თქვენ მოგეთხოვებათ საბუთების წარდგენა ფორმასთან ერთად საბუთებში მითითებული ინფორმაციის დასადასტურებლად. შემფასებელს დასჭირდება ეს მონაცემები, დისკუსიის დროს, და საბუთები ორივეს დაგეხმარებათ.

ფორმასთან ერთად წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი გაკეთებული უნდა იყოს სათანადო ადგილას; ისინი წარედგინება შემფასებელს საქალაქო დონით, რომელშიც საბუთები ჩაწვობილი უნდა იყოს ჩამონათვალში მითითებული თანამიმდევრობით. ერთიდაიგივე საბუთი არ შეიტანოთ ჩამონათვალში ორჯერ სხვადასხვა საკითხის საილუსტრაციოდ – ფორმაში მიუთითეთ, თუ სად შეიძლება მისი მოძიება.

კლინიკური პრაქტიკა

კომენტარი - *თქვენი აზრით, როგორია თქვენი კლინიკური პრაქტიკის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები?*

დოკუმენტაციის მაგალითები, რომლებიც შეგიძლიათ მიუთითოთ ან გამოიყენოთ: უახლესი აუდიტის მონაცემები (თუ არსებობს); მედიკამენტების რაციონალური მოხმარების ანალიზი (თუკი ეს შესაძლებელია); მნიშვნელოვანი კლინიკური გაიდლაინები, რომლებსაც იყენებთ; ჩანაწერები აუდიტების მნიშვნელოვანი შედეგების ან ანგარიშები კრიტიკული შემთხვევების შესახებ; აღსანიშნავი მოვლენების შესახებ ასახვითი ჩანაწერები ნებისმიერი სახით; პერსონალური მონიტორინგის მასალები; კოლეგების რჩევები, უკუგებები.

როგორ შეიცვალა თქვენს მიერ ქრონიკულად დაავადებული პაციენტებისათვის (ჰიპერტენზია, ასთმა, დიაბეტი) გაწეული მომსახურება მას შემდეგ, რაც ოჯახის ექიმად დაიწყეთ მუშაობა?

თქვენი აზრით, როგორია თქვენი კლინიკური მომსახურების განვითარების სამომავლო საჭიროებები?

რომელია თქვენს სამუშაოზე, ან ზოგადად არსებული ფაქტორები, რომლებიც ძალიან გიშლით ხელს მიაღწიოთ დასახულ მიზანს კლინიკურ საქმიანობაში?

საბუთების სია

- 1 კონსულტაციების დღიური – უკანასკნელი 40 კონსულტაცია (მიღება ან ბინაზე ვიზიტები) პაციენტის ვინაობის, ასაკის, დიაგნოზისა და მკურნალობის მითითებით
- 2 უკანასკნელი პერიოდის სამი პაციენტის ისტორია შემდეგი დაავადებებით:
 - ჰიპერტენზია
 - დიაბეტი
 - ასთმა

გამოყენებული მენეჯმენტი და მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურა დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი.

სტაბილური ხარისხიანი სამედიცინო პრაქტიკა

კლინიკური მომსახურების ხარისხი და მისი გაუმჯობესება; როგორ ცდილობთ სათანადო სტანდარტის შენარჩუნებას და აღწევთ გაუმჯობესებას.

კომენტარი – რა ღონისძიებები განახორციელეთ საოჯახო მედიცინის პრაქტიკის დაწყების დღიდან თქვენი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანამედროვე სტანდარტების დონეზე შენარჩუნებისათვის?

თქვენი აზრით რა იყო განსაკუთრებით სასარგებლო, ან პირიქით, თქვენს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში?

მიგაჩნიათ თუ არა სწავლის/სწავლების ზოგიერთი მეთოდი უფრო ეფექტურად სხვებთან შედარებით? როგორ ასახავთ ამას თქვენს მომავალ სტრატეგიაში ხარისხიანი სამედიცინო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად?

რომელია ის პროფესიული თუ პერსონალური ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს თქვენს მიერ სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას?

როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სამუშაოსა და კარიერის განვითარება მომავალი რამოდენიმე წლის განმავლობაში?

საბუთების სია

- 1 სწავლების კურსებზე დასწრების სერტიფიკატები
- 2 დისტანციური სწავლების კურსების დამთავრების სერტიფიკატები და ა.შ.

ურთიერთობა პაციენტებთან

კომენტარი – თქვენი აზრით, როგორია პაციენტებთან თქვენი ურთიერთობის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები?

თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა თქვენი ურთიერთობები პაციენტებთან მას შემდეგ, რაც ოჯახის ექიმად/ექთნად დაიწყეთ მუშაობა?

რის გაკეთებას ისურვებდით უკეთ? თქვენი აზრით, როგორია თქვენი განვითარების საჭიროებები ამ საკითხში?

რომელია თქვენს სამუშაოზე, ან ზოგადად არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელს გიშლით მიაღწიოთ დასახულ მიზანს პაციენტებთან ურთიერთობებში?

თანამშრომლობა კოლეგებთან

კომენტარი – თქვენი აზრით, როგორია კოლეგებთან თქვენი ურთიერთობის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები?

იმ დოკუმენტაციის მაგალითები, რომელიც შესაძლოა დაგჭირდეთ წარმოსადგენად: გუნდის სრულყოფის აღწერა, რომელშიც მუშაობთ (თუკი შესაძლებელია); დახასიათება კოლეგებისაგან; ინფორმაცია ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელიც თქვენსა და თქვენს კოლეგებს შორის (კონსულტანტების ჩათვლით) წარმოიშვა.

თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა თქვენი ურთიერთობები კოლეგებთან მას შემდეგ, რაც ოჯახის ექიმად/ექთნად დაიწყეთ მუშაობა?

რის გაკეთებას ისურვებდით უკეთ? თქვენი აზრით, როგორია თქვენი განვითარების საჭიროებები ამ საკითხში?

რომელია თქვენს სამუშაოზე, ან ზოგადად არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელს გიშლით მიაღწიოთ დასახულ მიზანს კოლეგებთან ურთიერთობებში?

მენეჯერული საქმიანობა

აღწერეთ ნებისმიერი მენეჯერული საქმიანობა, რომელსაც ეწევით პრაქტიკაში ან მის გარეთ და რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება თქვენს კლინიკურ საქმიანობას. როგორ დაახასიათებდით თქვენს დადებით და ნაკლოვან მხარეებს?

თქვენი აზრით, გააუმჯობესეთ თუ არა მენეჯერული საქმიანობა?

თქვენი განვითარების საჭიროებები

პროფესიული განვითარების საჭიროებების მიმოხილვა

ჩამოთვალეთ თქვენი განვითარების ძირითადი საჭიროებები მომავალი წლისათვის.

დასკვნა

ვადასტურებთ, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია არის შესაფასებელი ოჯახის ექიმის/ექთნის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზუსტი აღწერა და ის გამოყენებულ იქნა შეფასების პროცესში; ასევე, წარმოდგენლია, შესაფასებელი ოჯახის ექიმის/ექთნის განვლილი წლის სამუშაოს, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და წინააღმდეგობების აღწერა.

ხელმოწერა /ოჯახის ექიმი/ექთანი, რომლის საქმიანობას აფასებენ/ :

შემფასებელი:

თარიღი:

კლინიკური შეფასება (Clinical Evaluation)

საჭირო დოკუმენტაცია:

- კონსულტაციების დღიური – უკანასკნელი 40 კონსულტაცია (კლინიკური ან ბინაზე ვიზიტები)

პაციენტის სახელი, გვარი, ასაკი, დიაგნოზი, მკურნალობა

- უკანასკნელი (3-5) პაციენტის სამედიცინო ისტორიები შემდეგი დიაგნოზით:
 - ჰიპერტენზია
 - დიაბეტი
 - ასთმა

დეტალურად უნდა იყოს მითითებული მიმდინარე მართვა და მართვის გეგმა

- სამედიცინო ისტორიების მიმოხილვა
 - კონსულტაციის დღიური

შეარჩიეთ 10-მდე კონსულტაცია, მიმოხილეთ ოჯახის ექიმთან ერთად (განიხილეთ: დიაგნოზი, მენეჯმენტი, ფარმაკოთერაპია, ოპორტუნისტული პრევენცია/ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჩანაწერების ხარისხი – რამდენად გასაგებია)

- ქრონიკული დაავადებების მართვა

პროტოკოლების გამოყენება, რჩევები ცხოვრების სტილის შესახებ, მართვის გეგმა, მონიტორინგი, მეორე დონის სამედიცინო მომსახურების ჩართვა

- დაკვირვება პრაქტიკაზე:

დაკვირვება 5 კლინიკურ კონსულტაციაზე

- ✓ დამოკიდებულება პაციენტისადმი
- ✓ ანამნეზის შეკრება, გასინჯვა, დიაგნოზი, მკურნალობა
- ✓ ოპორტუნისტული პრევენცია/ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- ✓ გუნდური მუშაობა პრაქტიკის ექთნის ჩართვით
- ✓ ტექნიკური უნარ-ჩვევები

პერსონალური განვითარების გეგმა

ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით შეფასებელმა და მოსწავლემ უნდა განსაზღვროს განვითარების ძირითადი ამოცანები მომავალი წლისათვის, რომლებიც დაკავშირებული იქნება მოსწავლის პერსონალურ და/ან პროფესიულ განვითარებასთან. მათ უნდა მოიცვან ზემოთ მოცემულ შეჯამებაში მოყვანილი საქმიანობა, რომლებიც შეთანხმებული იყო სხვა კონტექსტში. მკაფიოდ მიუთითეთ აღნიშნული ამოცანის განხორციელების ვადა.

საპენსიო ასაკს მიღწეულ ოჯახის ექიმებს, შესაძლოა, სურდეთ განიხილონ მიზნები პენსიაზე გასვლისას და საქმიანობა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გარკვეული წვლილი შეიტანონ ჯანდაცვის სისტემაში.

განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხები:

- საქმიანობა უნარ-ჩვევებისა და მომსახურების ხარისხის შესანარჩუნებლად
- საქმიანობა ახალი უნარ-ჩვევების განვითარების/ათვისებისათვის
- საქმიანობა არსებული პრაქტიკის შეცვლის ან გაუმჯობესებისათვის.

ფორმა №4: შეფასების დისკუსიის შეჯამება - საქმიანობისა და პერსონალური განვითარების გეგმის შეთანხმება

მოცემული ფორმა ასახავს შეთანხმებას, მიღწეულს შეფასების დისკუსიის შეჯამების შედეგად; ასევე შეთანხმებული საქმიანობის აღწერას, თქვენი პერსონალური განვითარების გეგმის ჩათვლით.

ეს ფორმა შევსებული იქნება თქვენი საქმიანობის შემფასებლის მიერ და შეთანხმებული იქნება თქვენთან.

შეფასების დისკუსია - შეჯამება

ხარისხიანი კლინიკური პრაქტიკა

- კონსულტაციის დღიური: შეარჩიეთ დაახლოებით 10 კონსულტაცია, განიხილეთ ის ოჯახის ექიმთან/ექთანთან ერთად: განიხილეთ დიაგნოზი, მენეჯმენტი, მედიკამენტების გამოწერა, ოპორტუნისტული ჯანმრთელობის ხელშეწყობა/პრევენცია, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ხარისხი
- ქრონიკული დაავადებების მართვა: განიხილეთ პროტოკოლების გამოყენება, რჩევები ცხოვრების სტილის შესახებ, მართვის გეგმა, უწყვეტობა, მეორადი სამსახურების ჩართულობა.

დაკვირვება პრაქტიკაზე (დაკვირვება 5 კონსულტაციაზე)

განიხილეთ:

- პაციენტისადმი დამოკიდებულება
- ანამნეზის შეკრება, გასინჯვა, დიაგნოზი, მკურნალობა
- ოპორტუნისტული ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პრევენცია
- გუნდური მუშაობა პრაქტიკის ექთნის ჩართვით

ხარისხიანი სამედიცინო პრაქტიკის შენარჩუნება

განიხილეთ მოსწავლესთან ერთად:

- მოსწავლის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე განვითარების ამოცანების აღქმა
- შემფასებლის მიერ მოსწავლის საქმიანობის მიმოხილვა
- მოსწავლის განვითარების გეგმის შეთანხმება

დამოკიდებულება პაციენტებისადმი (შეაჯამეთ თქვენი დაკვირვება და ექიმის/ექთნის კომენტარები)

მუშაობა კოლეგებთან
კომენტარი:

მენეჯერული საქმიანობა

სხვა საკითხები

პერსონალური განვითარების გეგმა

წინამდებარე გეგმის განახლება უნდა მოხდეს მისი ცვლილებისთანავე – როდესაც ხდება მიზნის მიღწევა ან მოდიფიცირება, ან ახალი ამოცანის იდენტიფიცირება. თავდაპირველი ვერსიის შენახვა საჭიროა შემდგომი შეფასების დისკუსიისათვის.

როგორია ჩემი განვითარების ამოცანები?	მათი განხორციელების გზები	განვითარების მიზნის მიღწევის ვადები	შედეგი	შესრულება
განმარტეთ ამოცანა	განმარტეთ, თუ რას გააკეთებთ, რა სახის რესურსები გჭირდებათ?	განვითარების მიზნის მისაღწევი ვადები შეთანხმებულია შემფასებელთან	როგორ შეიცვლება თქვენი პრაქტიკა განვითარებისათვის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით?	თქვენი შემფასებლის დასტური იმის შესახებ, რომ განვითარების ამოცანა მიღწეულია
კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესება (პრაქტიკაზე ასახვა)				
უწყვეტი პროფესიული განვითარება				
პაციენტებთან ურთიერთობა				

შეფასების ევალუაციის ფორმა

შემფასებლის სახელი, გვარი: _____ ექიმი/ექთან: _____ ვინ ფასდება: _____
 (ვინაობის მითითება არ არის აუცილებელი)

1 გქონდათ თუ არა ინფორმაცია შეხვედრამდე, რომ უნდა მომზადებულიყო შეფასებისათვის?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

2 მისაღები იყო თუ არა თქვენთვის შეფასების დრო და გარემო?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

3 თქვენი აზრით შემფასებელი გისმენდათ?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

4 თქვენი აზრით შემფასებელი გაერკვა თქვენი და თქვენი კლინიკური პრაქტიკის საქმიანობაში?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

5 თქვენი აზრით შეფასება თქვენი გეგმით მიმდინარეობდა თუ შემფასებლის გეგმით?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

6 საკმარისი იყო თუ არა შემფასებლის მიერ ჩატარებული თქვენი/პრაქტიკის კვლევა?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

7 შემოგთავაზათ თუ არა შემფასებელმა კარგი მოსაზრებები ან გაგიწიათ თუ არა კონსტრუქციული კრიტიკა?

გარკვევით დიახ					გარკვევით არა
1	2	3	4	5	

8 ისურვებდით თუ არა შეფასდეთ იგივე პიროვნების მიერ მომავალ წელს, თუკი ამის საშუალება იქნება?

გარკვევით დიახ				გარკვევით არა
1	2	3	4	5

9 ზოგადად პროცესისაგან მიიღეთ თუ არა სათანადო გამოცდილება?

გარკვევით დიახ				გარკვევით არა
1	2	3	4	5

10 თქვენი აზრით, რა შეიძლება გაუმჯობესდეს მომავალ წელს შეფასების პროცესში? გააკეთეთ დამატებითი კომენტარები.